

რა სპირიტუალობა?

(დასასრული)

ახლა შევხედოთ ეროვნული კონცეფციის პერსპექტივების მათემატიკურ შედეგებს; თუ ეროვნული კონცეფცია დაკმაყოფილებულია იმით, რომ იგი ხალხის, ერის ნებას გამოხატავს და მეტს არაფერს, მაშინ მისი არსებობა უნდა იქნებოდეს საკმაოდ მარტივი (ან პარტიკულარული) ამ ნებით აღიქვამის და იმყოფება. მოქმედების ეფექტურობა განპირობებულია რეალური, იურიდიული უფლებამოსილი ძალაუფლებით. შეიძლება პოლიტიკური პარტია ხალხის ნებით აღიქვამის და თუკი უარს იტყვის ხელისუფლებაზე (პარტიკულარული არ ექნება ხელისუფლებაზე) იგი ამით ვერაფერს მიაღწევს. უბრალოდ, არსებული ხელისუფლება, საუკეთესო შემთხვევაში, გასაქანს არ მისცემს. ამიტომ, იმის განსაზღვრა, რომ ეროვნული კონცეფცია ხელისუფლების პარტიკულარული არაა, პოლიტიკური გულუბრყვილობა ან სხვების მოტყუება (ამაზე უფრო ვრცლად იხილეთ მე-3 გვერდზე დაბეჭდილი „მრავალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციისა და მემორანდუმი“).

არ ვიცი, ვის როგორ სჭირდება ეროვნული კონცეფცია იხე, როგორც წყალი და შაქარი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ ერს თავისი ნების გამოხატულებით ერთადერთი უზენაესი საკანონმდებლო ორგანო სჭირდება და ახლოს არჩევს კიდევ, ჩემთვის ნათელია, როგორ მოქმედებით თქვენ, ბატონო: როგორც აქამდე არ მოხდა და ახლა, ანუ შემთხვევაში მოერიდებათ თქვენთვის ჩვეულ ცრუბრტყობას და ერთი მუქა მხარდაჭერა ნებას მთელი ერის ნებად გამოაცხადებთ, მაგრამ, ვეკვებ: მამლის კულის საიმედოდ მიმალვა მოახერხებთ.

სათაურში გატანილი კითხვა — რა სპირიტუალობა? — აქვს ერთადერთი პასუხი: სამშობლოს ერთგულება და მოყვარულება უფლებამოსილი პარტიკულარული უნდა მიიღოს და აირჩიოს ერთადერთი უზენაესი საკანონმდებლო ორგანო.

დარწმუნებული ვარ, ბრძენი ქართველი ერი, ქვეყნისათვის ამ დამწუვრებელ ეტაპზე იპოვოს სწორი ორიენტაცია. გაერკვევა არც თუ იხე რთულ ვითარებაში და ერთადერთ სწორ არჩევანსაც გააკეთებს.

ღანგღა სადგომიდან

16 სექტემბერს, 6 საათზე თბილისში, საქართველოს ეროვნულ სტადიონზე გაიმართა 25-ათასკაციანი მიტინგი, რომელიც ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის დემონსტრაციად იქცა.

მიტინგზე, სხვა საკითხებთან ერთად, ერის წარმომადგენლებს ანგარიში ჩააბარა მერაბ კოსტავას სახელობის საქართველოს საადგილობრივი, მოსახლეობის განსახლებებისა და დახმარების ფონდის თავმჯდომარე ვაჟა ადამიანი... მან ილაპარაკა იმაზე, რაც გაკეთდა ფონდის დაარსებიდან დღემდე (იხილეთ „ახალგაზრდა ივერიელი“ 11 აგვისტოს ნომერი).

განხილეს ფონდის საქართველოს საკითხებიც, მათ შორის ფონდის საათბინოს შემადგენლობის შესახებ. ვინაიდან სხვადასხვა მიზეზის გამო საათბინოს დატოვა პირველად არჩეულმა ზოგიერთმა წევრმა. საათბინოში შეიყვანეს ახალი წევრები და როგორც საკრებულოზე, დაამტკიცეს მთლიანი შემადგენლობა, რადგან მერაბ კოსტავას ფონდის საქრებულოს წევრად შეიძლება მივიჩნიოთ ყველა ადამიანი, ვინც იქ ფულს გადაირიცხა.

უხვოაღის თვალით...

1924 წლის შემოდგომაზე თბილისში იმყოფებოდა ცნობილი გერმანელი პროფესორი დოქტორი ერნსტ მობსი. მას აინტერესებდა საქობი, „როგორ იყო შესაძლებელი ეს აჯანყება, რა იყო კემპარტის ამომარჩევებელი ძალა ამ მოძრაობისა“. ამ კითხვაზე პასუხს წარმოადგინდა იმავე წლის დეკემბერში მის მიერ ავტორიტეტულ გერმანულ კრებულში „ცაიტიუნგ ფურ გეგოლოგიკ“. გამოქვეყნებული ტატა „საქართველო — გეოპოლიტიკური ნარკვევა“, რომელიც დადმოკლულია 1924 წლის აქანყების წინამძღვრები, საქართველოს ისტორია, ქართული კულტურა, ქართული ხახიათი სხვა ერებთან, განსაკუთრებით რუსებთან მიმართებაში.

ვათავსობთ ამ წერილის ფრაგმენტს. გადმოგვტვლილია ურანდიან „კავკასიონი“ (1924 წ. პარიზი).

„...ქართველი ველიკორსების პირისპირ სრულდება უცხო არის, თუ არ ვიკვებით, რომ იგი მათ მიმართ მტერი არის. რუსის ხალხის ფართო მასივს ქართველი ისე განიცდის, როგორც სარკის სწორ სურათს, რომელიც დაუსრულებელ სიმორსს, ცალიერ და არაფერს რეაქციულ ეროვნებას აჩვენებს. ამ უველაფერში და ცალკეულში კავასიური მიწა-წყლის ძალასა და სიმარტის მკვეთრ წინააღმდეგობას წარმოადგენს. რუსის ლიბალი თავის მოდერუა, ბედზე უსიტყვოდ დამორჩილება, უნებისყოფი დამონება თვითთულისა, გათქვევებული ორგანი მისასში, ინტერნაციონალიზმზე ჩამოკიდება და სხვა, —

ბავსთ „ახალგაზრდა ივერიელი“ (1920 წ. 1 სექტემბერი, № 94) გამოქვეყნდა ბატონ ირაკლი ბათიაშვილის პუბლიკაცია „რისთვის გვინდა დამოუკიდებელი საქართველო“. ავტორი ემზობა ეროვნული კონცეფციის არჩევნებს და ამიტომ, წერილი შეიძლება მივიჩნიოთ ეროვნული კონცეფციის იდეის თეორიული დასაბუთების მცდელობად.

თავს უფლებას ვაძლევ კრიტიკულად გავაანალიზო ეს წერილი და ვაჩვენო ის სუსტი მხარეები, რომლებიც, ჩემი აზრით, ეროვნული კონცეფციის არჩევნების იდეას აქვს. მითხვევს შევასწავებ, რომ ბატონ ირაკლი ბათიაშვილის შეიდლებიან წერილში ექვსი სვეტი ეთმობა ყველასათვის კარგად ცნობილი ამბების გადმოცემას: მახლობელ აღმოსავლეთში ქრისტიანებისა და ქრისტიანების, ქრისტიანებისა და მუსულმანების, მუსულმანებისა და მუსულმანების სისხლისმღვრულ ბრძოლებს, მუამარ კადაფის, იასირ არაფატის, სალამ ჰუსეინის ტერორისტულ საქმიანობას, გავროს, ვეროპის ქვეყნების, აშშ-ის, საბჭოთა კავშირის პოზიციას ერასის მიმართ და ა. შ. და ა. შ. შემდეგ ლაპარაკი ეთონოკრიზისებზე, ავრთვე იმაზე „რომ მომავალში საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებელია იმპერიული სტრუქტურის დათმობა, ე. ი. ცენტრალური ხელისუფლების გაუქმება მოუხდეს...“, რომ „აღარ

რისთვის გვინდა ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლა? მაშინ გასაგებია განხილვა მისივე პასუხი: იგი იმისთვის გვინდა, რომ საქართველო „მოსწყდეს რუსეთის ორბიტას“ და „დაუნათესავდეს“ ევროპას შვიი ზღვის მეშვეობით, მაგრამ თავისთავად ეს პასუხი ერთობ საჩოთიროა. განა დამოუკიდებელი საქართველო მხოლოდ ამისთვის გვინდა?

წერილში „რისთვის გვინდა დამოუკიდებელი საქართველო“ აშკარად ჩანს, რომ ბატონი ირაკლი ბათიაშვილი მომზრეა იმისა, რომ ყოველგვარი კავშირი გაწყდეს რუსეთთან („შორს რუსეთიდან“), ისლამურ ქვეყნებთან (თუმცა მათთან ბატონი ირაკლი „არ გამორიცხავს... ნორმალურ, კეთილმზობურ, ურთიერთსესაყრელი დამოკიდებულებების მიზანშეწონილობას...“), ხოლო აფრიკასთან, „ჩრდილო და სამხრეთ ამერიკულ ქვეყნებთან, ან საერთოდ აზია-წყნარი ოკეანის ეფექტურად წინმავალ რეგიონებთან“ ურთიერთობაზე ლაპარაკი არაგააღიარა მიანიჩა. რატომ არის „თავისთავად ცხადი, რომ არარეალურზე ვლაპარაკობთ?“ განა დამოუკიდებელი, თავისუფალი, შვიი ზღვით ევროპასთან დაკავშირებული საქართველოს არ შეეძლება ნორმალური სავაჭრო და კულტურული ურთიერთობები დაამყაროს აღ-

და მაინც, რისთვის გვინდა დამოუკიდებელი საქართველო? რისთვის დავაბადა ასეთი კითხვა ბატონ ირაკლის?

პასუხი ასეთია: დამოუკიდებელი საქართველო გვინდა რუსეთისგან გამოსაცლიად და „მიწმუნების“ ქვეყნებში, ევროპის სახლში შესაღწევად. ამ „სტრატეგიული მიზნის“ განხორციელების, ბატონი ირაკლის რწმენით, ხელს შეუშლის მრავალპარტიული პარლამენტი. აი, ამის სათქმელად დავაბადა ასეთი ხელოვნური კითხვა და პასუხიც ხელოვნური გამოვიდა.

სინამდვილეში კი პარლამენტი სწორედ ევროპასა და ცივილიზებულ სამყაროსთან დამაკავშირებელი ერთადერთი რეალური, საერთაშორისო სამართლის ნორმებით განსაზღვრული გზაა: ოკუპირებული ქვეყნის (საქართველოს) ოფიციალური ხელისუფლებისა და კონსტიტუციის დიდი ხანია ცნობს როგორც კრემლი, ასევე საერთაშორისო სამართალი. იგივე საერთაშორისო სამართალი ცნობს სსრ კავშირსა და მის კონსტიტუციას. თუკი კონსტიტუციის გზით არჩეული მრავალპარტიული პარლამენტი (რომელიც არჩევნების შედეგად ხალხის ნების გამოხატულებით ირგანო იქნება) გამოაცხადებს საბჭოთა კავშირიდან საქართველოს გამოყოფას (რაც მისივე კონსტიტუციითაა

ეროვნული კონცეფცია თუ მრავალპარტიული პარლამენტი

იარსებებს იმპერია, მაგრამ იარსებებს ერთა ისეთი ვრცელი თანაზიარობა, რომელშიც განმსაზღვრელი და წარმმართველი ადგილი ექნება რუსეთს, „რომ საბოლოო ჯამში, საქართველოდან საოკუპაციო ჯარები კი გაიყვანონ...“ ყოველივე ამის შემდეგ ბატონ ირაკლის ებადება კითხვა: „რისთვის გვინდა საქართველოს დამოუკიდებლობა?“ აქ უკვე მე შეეძლება კითხვა: რისთვის დავაბადა ასეთი კითხვა ბატონ ირაკლის?

იგი წერილის დასაწყისში სამართლიანად ამბობს, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობა ქართველს უნდა უნდოდეს ყოველგვარი რისთვისაც“ გარეშე და რომ უმჯობესია ახლა ვიფიქროთ, თუ რა გვეტოდება საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღწევად, ვიდრე უნდა დამოუკიდებლობა და ვენერგია“.

ამ საკმაოდ უცნაური კითხვის პასუხს მე ისე გავიგე, რომ მას საქართველოს დამოუკიდებლობა სურს იმისათვის, რათა საქართველო „მოსწყდეს რუსეთის ორბიტას“, როგორც უნდა იყოს იგი („შორს რუსეთისგან“) და „დაუნათესავდეს“ „მიწმუნების“ ქვეყნებს შვიი ზღვის საშუალებით.

ძალიან კარგი! კარგია „ევროპასთან მტკიცე მეგობრობა, სტრატეგიული მნიშვნელობის კავშირი...“ დამოუკიდებელი გზის გაკვეთვა მისკენ“. ეს ზოგადი ფრაზები ალბათ ყველა იმ პოლიტიკური პარტიისთვისაა მისაღები, რომლებიც საქართველოს ეროვნული-განმათავისუფლებელ მოძრაობაში მოწინააღმდეგე ვფიქრობ, ეს განზრახვა, სურვილი არ გამოდგება ეროვნული კონცეფციის უპირატესობის დასასაბუთებლად. გარდა იმისა, ცნება „დამოუკიდებელი საქართველო“ შინაარსში აუცილებლად იგულისხმებს ის, რომ დამოუკიდებელი საქართველო უკვე მოწყვეტილია რუსეთის, მისგან გამოყოფილია. არასურვერწინული, დაპერიობილი საქართველო უნდა მოწყდეს რუსეთს, გამოყოფის რუსეთის იმპერიას და არა დამოუკიდებელი საქართველო. შეიძლება მონას თავისუფლება იმისთვის უნდოდეს, რომ თავისუფლება მოიპოვოს? — არ შეიძლება დამოუკიდებელი საქართველო იმისთვის გვედოდეს, რომ დამოუკიდებლობა მოვიპოვოთ.

ბატონი ირაკლის მსჯელობაში აშკარად ჩანს ლოგიკური შეცდომა; თუ კი კითხვას დავსვამთ ამგვარად:

ნიშნულ ქვეყნებთან, თუნდაც იპოპიანობა?

ევროპასთან კავშირი, ევროპის სახლში შესვლა კარგი რამ არის, მაგრამ დაარჩენი სამყაროს ასე ხელისუფლების უარყოფა, მათი ათვალიწუნება იმის გამო, რომ „ევროპა დემოკრატიისა და თავისუფლების არაბოძოთნე, გულწრფელი მცველია“, ხოლო დაარჩენი, მათ შორის, ვთქვათ, იპოპიანი, ასეთი არ არის, და ამიტომ იგი საქართველოსთან ურთიერთობის ღირსი არ არის, ერთგვარ ახირებდა მითანიჩა. მართალია, როგორც ბატონი ირაკლი ბრძანებს, „რუსეთის მტერი და ეშმიკი ენდოს“, მაგრამ დავუშვათ, საქართველომ რუსეთთან ყოველგვარი კავშირი გაწყვიტა, „ამოგარდა მისი ორბიტადა“. განა ეს ვგადღევს იმის განრტანას, რომ გიგანტმა, თუ მოინდომა, არ ჩავყლაპოს? რუსეთისგან საქართველოს სრული იზოლაცია თავდაუსხმელობის გარანტია არ არის.

რუსეთთან (ისევე, როგორც სხვა ქვეყნებთან), ურთიერთობას დაარეგულირებს, წარმართვის მომავალი დამოუკიდებელი საქართველოს კანონიერი ხელისუფლება პარლამენტი, დიპლომატიური გზებითა და საშუალებებით. ვფიქრობ, საქართველო რუსეთთანაც გვეკონდეს დიპლომატიური, სავაჭრო და კულტურული ურთიერთ-კავშირები.

ბატონი ირაკლი ბათიაშვილი აცხადებს, რომ „ეროვნული მოძრაობის მნიშვნელოვანი ნაწილი დიდ შევიდობას ხადის, როდესაც მოწადინებულია განმათავისუფლებელი ბრძოლის სიმძიის ცენტრად გადაიტანოს უზენაესი საბჭოს დარბაზებში... ეს არის შევიდობა და უფრო მეტიც — დანაშაული“. „სწორი ლოგიკა უარს გვათქმევინებს ე. წ. პარლამენტური გეგმა“ (ხაზგასმე ჩემია — თ. კ.). არა მგონია, ქართველმა ერმა ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრაობის პარლამენტური გეზი შევიდობად, უფრო მეტიც, დანაშაულად მიიჩნიოს. მჭერა, მითხვეული უპირტიკოდ არ მიიღებს ასეთ უპასუხისმგებლო განცხადებებს.

უნდა ითქვას: პარლამენტისადმი მისი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, ბატონ ირაკლი მაინც მიანიჩა, რომ პარლამენტი ბევრ სასარგებლო საქმეს გააკეთებს, იმედიც აქვს, რომ ახლსამოკავშირეო ხელშეკრულებას პარლამენტი „არ დაუშვებს“.

რა არის ეს, პიროვნების გარეგანობა, ორპოფობა, დაბნეულობა?

გარანტირებული, ეს იქნება სამართლიანობის აქტი საერთაშორისო თვალსაზრისით. მრავალპარტიული პარლამენტის არჩევნების კანონის კანონიერებაში, ვფიქრობ, ექვი არაა ვისი შეეპარება. მრავალპარტიული პარლამენტი (თავისი არსით იგი უკვე აღარ იქნება ერთპარტიული, ხაზმული პარლამენტი) ექნება როგორც ზნეობრივი, ასევე სრული იურიდიული უფლება ისარგებლოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებით და გავიდეს საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან, გამოაცხადოს საქართველოს დამოუკიდებლობა, ჩაატაროს რეფერენდუმი, მიიღოს ახალი კონსტიტუცია, ახალი კანონები, გაატაროს ისეთი რეფორმები, რომლებიც ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერის საფუძველი იქნება და ა. შ. ბორობალი გამოგონილია და მისი თვინდ გამოგონება, ვფიქრობ, საქართველო არ არის.

სხვა საქმეა, მიიღებს თუ არა პარლამენტი ასეთ გადაწყვეტილებებს. ეს დამოკიდებულია პარლამენტის შემადგენლობაზე. პარლამენტის არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ეროვნული-განმათავისუფლებელი ბრძოლის დიდი გამოცდილება აქვთ, შეძლებენ დეპუტატობის კანდიდატურად წარადგინონ ისეთი პიროვნებები, რომლებიც ღირსეულად იბრძოლებენ პარლამენტში ქართველი ერის სასიკეთოდ უფლებების — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისთვის. სამწუხარო ის არის, რომ მრავალპარტიული პარლამენტის არჩევნებში, ხელისუფლების აშკარა მზარდაპერით, მონაწილეობას მიიღებენ ისეთი პარტიები, რომლებიც შორს დგანან ეროვნული-განმათავისუფლებელი მოძრაობისაგან, თითო თითზე არ დაუყარბით საარჩევნო კანონის მისაღებად და ფაქტურად ტოტალიტარული იმპერიის „გარდაქმნილი“ აპოლოგეტებს წარმოადგენენ. მათი მონაწილეობა პარლამენტის არჩევნებში საფრთხის უქმნის როგორც პარლამენტის არჩევნებს, ასევე თვით პარლამენტის სასურველი. მიმართულებით საქმიანობას. ხოლო იმ პარტიებმა, რომლებსაც საქართველოს ეროვნული-განმათავისუფლებელ მოძრაობაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვით, სხვა გზა აირჩიეს.

წილი ნაყარია! ხალხმა განსაჯოს!

მნიშვნელოვანი თანამემამულენო! საზოგადოებისათვის კარგად ანობილი მრავალი მაგისტრის პოლიტიკური ორგანიზაციების თვალსაზრისით საკმაოდ საჭიროდ მოიხსენიებენ დემოკრატიული არჩევნების მოწყობისათვის. ამ მიზნით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩვენ აქტიურად ვმონაწილეობდით საარჩევნო კანონის შემუშავებაში. ამასთან დაკავშირებით იყო დრამატული მოვლენებიც. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 20 ივნისის სესიის მოწვევა, რომელიც მიმდებარეობდა იქნა გადაწყვეტილება ოპოზიციისა და ხელისუფლების ერთობლივი მონაწილეობით შემუშავებული მრავალპარტიული საარჩევნო კანონის პროექტი, შერეული მავორიარული პარტიული სისტემით, შესაძლებელი გახდა მხოლოდ სახელმწიფო უნივერსიტეტის ხუთი ახალგაზრდა ქართველის თავგანწირული — უვადო შიმშილობის აქციის, მრავალი მაგისტრის პოლიტიკური ორგანიზაციების წევრთა და მოსკოვის ქართული სათვისტომოს წარმომადგენელთა ანალოგიური აქციების შედეგად. ამის შემდეგაც, საკონსულტაციო კომისიის მუშაობის მსვლელობის დროს, ხელისუფლების წარმომადგენელთა შრიდან სისტემატურად აღდიო პქონდა მცდელობას კანონში შეეტანათ ანტიდემოკრატიული და ანტიეროვნული დებულებანი და ამით გაეყალბებინათ დემოკრატიული საარჩევნო სისტემის არსი. ასეთ დროს, ჩვენი წარმომადგენლები პრინციპულად უყოფიერდით ბრძოლას უცდალდნენ ხელისუფლებას მოქმედებას. სხვა შემთხვევაში ჩვენ ყოველშრივე ვცდილობდით სასწრაფო არ შეგვედგო ბედი დემოკრატიული არჩევნებისა, რადგან ღრმად გვაქვს გატნობიერიყოლი ამ არჩევნების სასიცოცხლო მნიშვნელობა ქართველი ერის მომავლისა და მისი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის საქმეში. წინააღმდეგობა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის განსაკუთრებით გამწვავდა მას შემდეგ, რაც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი გ. გუმბარიძე შეეცადა პოლიტიკური დემოკრატიისა და მანტაის გზით გაეხადებინათ საქონსულტაციო კომისიის ერთობლივი შრომის შედეგად. ამის თვალსაზრისით საჭირო გახდა რადიკალური ზომების გამოყენება; დაიწყო მასობრივი საპროტესტო პოლიტიკური მანქანება-ციები. გაიფიცნენ წარმოებულ-დაწესებულებები, რისი კულმინაცია იყო სამტრედიის ცნობილი აქცია. ნაწილობრივ უკან დახევის შემდეგ ხელისუფლებამ 17-18 აგვისტოს, სესიის მუშაობის დღეებში, კვლავ მიმართა მისთვის ჩვეულ, მაგრამ ამჟამად თავისი ხასიათით ყველაზე მხაკვრულ ხერხს: ფაქტურად დაადა ხალხისა და დემოკრატიის აშკარა ოლტარის გზას, როდესაც სესიაზე შეეცადა დაერღვია ყველა ის არსებული პუნქტი, რომელიც ერთობლივად იყო მიღებული საკონსულტაციო კომისიის მიერ გონიერული კომპრომისის საფუძველზე. თავისი ამ მოლაპარტური მოქმედებით მან კატასტროფის წინაშე დააყენა როგორც საარჩევნო კანონის, ასევე მთლიანად ჩართული ხალხის ბედი. ხელისუფალთა ამგვარ ხერხს დაუბრუნებია ჩვენი ერის ნება და მაღალი პოლიტიკური შეგნება. ეს იყო ეროვნული თაზოციის დიდი ზნეობრივი და პოლიტიკური გამარჯვება. კიდევ ერთხელ დადასტურდა, რომ ქართველ ხალხს სურს და უნარაც შესწევს ჩაატაროს ქვეყნარტიული დემოკრატიული, მრავალპარტიული და არასაბჭოური არჩევნები.

ობოზიციური ძალების ამგვარმა გამარჯვებამ, კომპრომეტირებულ ხელისუფლებას, ცხადია, გაუთაცია ძალაუფლები და კარგავს შიში. ამიტომ ამჟამად იგი, მიმართავს რა აშკარა რეგრესის მცდელობას, ყოველშრივე ცდილობს შექმნას ისეთი პირობები, რომელიც კითხვის ქვეშ დააყენებს მომავალი არჩევნების დემოკრატიულ ხასიათს და რადიკალური ოპოზიციის მონაწილეობას ამ არჩევნებში. კომუნისტური პარტიის მრავალრიცხოვან მცდელობათა სერიოდან განსაკუთრებით თვალსაზრისითაა ის მიზანდასახული საბოტაჟი და პროვოკაციები, რასაც იგი ფარულად თუ აშკარად ახორციელებს მთელი ქართველი ერის წინააღმდეგ. უკვე დაწყებულია ხელნერწერი ეკონომიკური სირთულეები; შეჩერებულია პირველი მოთხოვნის ბროდუქტებითა

და მედიკამენტებით მოსახლეობის მომარაგება, სულ უფრო მწვავე ხასიათს იძენს ნავთობბროდუქტების დეფიციტი, დანაშაულებრივად გრძელდება ხელისუფლების მიერ ინსპირირებული ბლოკადა, სახელმწიფო ხაზინის დაცარიელება, გრძელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფის მცდელობები, რასაც ხელისუფლებამ აშკარად ხელს აფარებს. ყოველივე ეს შორს გამიზნულ პროვოკაციებს წარმოადგენს, იმპერიული-კომუნისტური სისტემის გარდაუვალი კრახის წინაშე მდგარი ქართული მართლმადიდებელი ხელისუფლება, რომელიც მთელ იმპერიაში გამოირჩევა განსაკუთრებული რეაქციულობით, ანტიეროვნულილობითა და საბიფათო კონსერვატიულობით, ამჟამად მოქმედებს პრინციპით: „ჩემს შემდეგ თუნდაც ქვა ქვავი ნუ დარჩენილა“.

უკანასკნელ ხანს ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა კომუნისტური

ყოველდ უზნეო მანიპულაციებით კომუნისტური პარტია ცდილობს, რადაც უნდა დაუდგეს, შეინარჩუნოს იმპერიის დიქტატი საქართველოში. ამავ მიზნით იგი უკვე მრავალჯერ არა მარტო პროკომუნისტურ, არამედ ცრურწოდულ პარტიებსა და ორგანიზაციებს. სწორედ ასეთი ფარული გარიგება დაიღო კომუნისტურ პარტიასა და ე. წ. კონგრესის ადგილებს შორის. ამასთან დაკავშირებით ჩვენ ვაცხადებთ შემდეგს: აწლის 13-15 მარტს ეროვნული მოძრაობის საგანგებო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება ეროვნული კონგრესის არჩევის შესახებ საყოველთაო, პირდაპირი და ფარული ვატყვისყოით. ეს ყოველივე განაპირობა იმ გარემოებამ, რომ საოკუპაციო ხელისუფლების პირობებში არაღმომკრატული გზით „არჩეული“ ე. წ. უზენაესი საბჭო, რომელიც არ არის აღჭურვილი ხალხის ნდობის მანდატით, ვერ იქნე-

სადლებლობა. ასეთ ვითარებაში იგი სცენარე დაგვიყვანს თავის უკანასკნელ დასაყრდენს, ე. წ. „კონგრესს“, რომლის საშუალებითაც შეეცდება დაამხო ეროვნული პარლამენტი და გამოიწვიოს იმთა შორის სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი.

სამოცდამათე წელიწადია, რაც ქართველი ხალხი ქირთათმენით ცხოვრობს მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო სისასტიკის კომუნისტური რეჟიმის პირობებში. ჩვენ, ვითარცა კაცთმოყვარე ქრისტიანებს, არასოდეს გვიფიქრია ამ დანაშაულებრივი ორგანიზაციისადმი მონაწილეობა, ვაცხადებთ, რომ მომავალშიც არასოდეს გადავდგამთ ასეთ ნაბიჯს, მაგრამ ამჟამად, როდესაც ჩვენი სამშობლო დგება ისტორიული არჩევნების წინაშე, შეუწყნარებლად მიგვიჩინა კომუნისტთა უზნეო მცდელობანი, მხაკვრობა და ვერაფრით, რასაც ისინი სჩადიან იმპერიული ინტერე-

რულებთა გაფორმებას უკვე მიყვართ ახალ სამოკავშირეო ხელშეკრულებამდე, რაც, ცხადია, დამლუგელია დამოუკიდებლობისაკენ მიმავალ გზაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ კომუნისტური პარტია და მისი მოკავშირენი აშკარად ახორციელებენ ქართველი ერის გათიშვის პოლიტიკას, ყოველივე ხერხით ცდილობენ ეროვნული ძალების დისკრედიტაციას. ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია მრავალი მაგისტრის წევრი ორგანიზაციების წინააღმდეგ გაჩაღებული კამპანია, რომელსაც ერთნაირი გულმოდგინებით ეწევიან კომუნისტური და ცრურწოდული პარტიები. როგორც ვხედავთ, დღეს უკვე აშკარად გამოიკვეთა ქართველი ერისათვის უდიდესი საშიშროება, რასაც მიყვართ დემოკრატიული არჩევნების ჩაშლაამდე, ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადებამდე, ორხელსუფლებიანობის პრეცედენტის შექმნამდე და საბოლოოდ კი ძალადობისა და ანარქიის გაბატონებამდე.

ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნული საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, ჩვენ, მრავალი მაგისტრის პოლიტიკური ორგანიზაციების, აუცილებლად მიგვიჩინა დაუყოვნებლივ განხორციელებს შემდეგი ღონისძიებანი:

1. გადაისიხოს და გაუქმდეს საქართველოს სსრ უზენაესი სასამართლოს უკანონო გადაწყვეტილება ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ცრუპოლიტიკურ პარტიათა რეფესტაციის შესახებ. შეწყვეტოს რეფესტაციის ყოველგვარი ჩარევა საარჩევნო კომისიის საქმიანობაში.
 2. შეწყვეტოს ეკონომიკური საბოტაჟი და ბლოკადა, რასაც ახორციელებს ცენტრალური და ადგილობრივი კომუნისტური ხელისუფლებები.
 3. შეწყვეტოს ეროვნული მოძრაობის დევნა და დისკრედიტაცია.
 4. კომუნისტური პარტიის მონოპოლიდან გამოთავისუფლდეს ინფორმაციის საშუალებები, პრესა, ტელევიზია, გაზეთ-ცემოლები. შეწყვეტოს სახელმწიფო სახსრებისა და სხვა ფონდების ექსპლუატაცია კომუნისტური პარტიის მიერ.
 5. გადაისიხოს და გაუქმდეს კომუნისტური ხელისუფლების მიერ უკანონოდ დადებული ახალი ხელშეკრულებები.
 6. სასწრაფოდ განხორციელდეს სამართალდამცვეი ორგანიზაციისა და სხვა სახელმწიფო დაწესებულებათა დეპოლიტიკაცია.
 7. გაუქმდეს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.
- მრავალი მაგისტრის პოლიტიკური ორგანიზაციები ვაცხადებთ, რომ თუ ზემოაღნიშნული ღონისძიებათა პრაქტიკული განხორციელება თანმიმდევრულად არ დაიწყო აწლის 14 სექტემბრამდე, შეიქმნება საფრთხე დემოკრატიული არჩევნების ჩაშლისა, რის თავიდან ასაცილებლად მივირთვებით უკიდურესი ფორმის საპროტესტო აქციებს — არსებული ხელისუფლების გადადგომისა და საქართველოში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გაუქმების მოთხოვნით. ასეთ შემთხვევაში, შესაძლო შედეგებისათვის მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ კომუნისტური ხელისუფლებას და მის მოკავშირეებს, რის შესახებაც ვიმჯღლებთ აწლის 16 სექტემბერს ეროვნულ სტადიონზე 18 საათზე დანიშნულ სახალხო მიტინგზე, რომელიც მიეძღვნება მომავალ არჩევნებს.

პრეპლი ეპიდის პოლიტიკურ ორგანიზაციის გამორანღვი

ბა ქართველი ერის ნება-სურვილის კანონიერი გამომხატველი და ვერ ილანარაკებს მისი სახელით. იმჟამად საქართველოს ეროვნული მოძრაობის დიდ ნაწილს მიანდა, რომ ერის ნება-სურვილის ასეთ გამომხატველად და ამავ დროს მისი ნდობის მანდატით აღჭურვილ საერთა-სუბიექტად შეიძლებოდა ჩვეულებრივ ხალხის მიერ არჩეული არაოფიციალური ეროვნული კონგრესი, მაგრამ მსოფლიოს იურიდიულ პრაქტიკაში დღემდე ვერ მოიძებნა პრეცედენტი ასეთი არაოფიციალური სტრუქტურების სამართალ-სუბიექტად ცნობისა საერთაშორისო სამართლის მიერ. ეს ყოველივე ძალზე თვალსაჩინოდ დადასტურდა ბალტიის ქვეყნების მავალითზე. ამასთან, არაოფიციალური საექვეო მაქნაციებით „არჩეული“ ეროვნული კონგრესი შექმნის ორხელსუფლებიანობის, ეროვნულ მოძრაობაში ოფიციალის ხელსეწყობით ანტიეროვნული მავთო-სურვილის მავლობისა და სამოქალაქო ომის საფრთხეს. ეს ყოველივე უკვე ნათლად იკვეთება განცხადებებში, რომელიც მოუწოდებენ კონგრესის არაოფიციალური შეიარაღებული ძალების შექმნისაკენ. ამის გამო კონგრესის იდეა მნიშვნელოვნად გაუფასურდა და ამჟამად მრავალი მაგისტრის ადარ უქურის შხარს მის არჩევას. ასე რომ, ქართველმა ერმა არ უნდა დაუშვას ორხელსუფლებიანობის საშიში პრეცედენტი და მთლიანად უნდა დაუჭიროს მხარი ახალი, დემოკრატიული კანონის დაცვით მრავალპარტიული უზენაესი საბჭოს არჩევას, რომელიც იქნება ნამდვილი ეროვნული პარლამენტი, აღჭურვილი ერის ნდობის მანდატით, ნამდვილი ოფიციალური სამართალ-სუბიექტი, რომელსაც ცნობს საერთაშორისო სამართალი და რომელიც აწარმოებს მოლაპარაკებას საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე ნებისმიერ საერთაშორისო დონეზე. საგულისხმოა, რომ კომუნისტური ხელისუფლება დღეს ყოველნაირად მფარველობს კონგრესის არჩევნებს, შესაბამისი შენობებისა და სხვა მატერიალური საშუალებებით უზრუნველყოფს ამ კამპანიას. ხალხის მოტყუების „ტაქტიკა“ იქამდე მივიდა, რომ ვითრდა ანტიკომუნისტური „ეროვნული კონგრესი“ არჩევნებისა და ამ ძალების მიერ გამოცხადებული „ეროვნული დამოუკიდებლობის“ მომავალი აქციის ყველაზე მხურვალე მხარდამჭერად მასში მონაწილე „დემოკრატიულ ფრთად“ შენდებულნი კომუნისტური პარტია მოგვევლინა. ეს კი უახლოეს მომავალში აშკარა საფრთხის წინაშე დააყენებს არა მარტო არჩევნების, არამედ მთელი საქართველოს ბედს. ამ უარესად საბიფათო ალიანსის მიზნით ერთთა: იმ შემთხვევაში; თუ არჩეული იქნება ეროვნული პარლამენტი და ხელისუფლება გადავა ანტიკომუნისტური ძალების ხელში, ცხადია, ამით ბოლო მოეკლებათ იმპერიული სტრუქტურების არსებობას საქართველოში და დაიწყება ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენის პროცესი. ბუნებრივია, რომ ხელისუფლებას ჩამოკლებულ კომუნისტური პარტიას აღარ ექნება ამ პროცესების შეჩერების შე-

ნების გადასარჩენად. დაიწყეთ იქიდან, რომ დღესდღეობით არ არსებობს საქართველოს კომუნისტური პარტია, არიან მხოლოდ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ქართველი წევრები. ჩვენ არ გამოვდევნიბივართ ამ ისტორიულ პარტიას და არსებული რეჟიმისა და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, კომპრომისულად დაფიანდებით მთ მონაწილეთა არჩევნებში. არსებობს უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულება საქართველოს სსრ ზოგადი საკანონმდებლო აქტში ყველაზე უფრო და დამატებათ შეტანის თაობაზე (თბილისი, 1990 წ. 14 სექტემბერი), სადაც ვკითხულობთ: „...პარტიებმა კომისიის უნდა წარუდგინონ პარტიის ხელმძღვანელის მიერ ხელმწიფიოლი საერთაშორისო განცხადება და პარტიის წესდება-პროგრამა“. ამ დებულებას შესაბამისად ქართველ კომუნისტთა განცხადებას ხელს უნდა აწერდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივანი მ. გობრაძე. ცხადია, ეს ასე არ მომხდარა და ამიტომ რეგისტრაციამ საქართველოს კომუნისტური პარტიის გატარება უკანონო და არასამართლებრივი აქტია. მიუხედავად იმისა, რომ ე. წ. „საქართველოს კომუნისტურმა პარტიამ“ არ შესარულა სიტყვიერი პირობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიდან გამოყოფის შესახებ, იგი არა მარტო მონაწილეობს არჩევნებში, არამედ ახორციელებს ფაქტობრივ დიქტატას ამ მიმართებით, რითაც სურს საბოლოოდ გადაწყვიტოს არჩევნების ბედი საქართველოში. ხაზგასმით უნდა განვცხადოთ, რომ დაუშვებულად მიგვაჩნია მრავალპარტიული, დემოკრატიული არჩევნების ჩატარება რომელიმე (ამ შემთხვევაში სსკპ) შეუზღუდავ მონაპოლის პირობებში. ყველაისათვის ცხადია, რომ ამგვარი მონოპოლია ჩვენში უკვე დიდი ხანია წარმოადგენს კომუნისტური პარტიის პერიფერიას, რასაც უახლოვიად ახორციელებს ეკონომიკური ბერკეტების, ინფორმაციის საშუალებებისა და ფინანსური რესურსების შეუზღუდავი უკანონო მოყენებით. ყოველივე ამის შემდეგ, კიდევ უფრო აღმამფოთებელია ქართველი კომუნისტების გულმოდგინებისა და ნდობის საძირკველი (19. 09. 1990 წ. №38) გამოქვეყნა განცხადება. ამგვარად არა გვაქვს „არც დრო და არც სურვილი“ ამზე დასაყრდენად ვაცვიდეთ მათ, მაგრამ ერის კი ვეკითხავთ: რა „იმდენი გელო, ბოდა და ცილის-წამება“ ითვებს ამ შემორანღვიში „პატარა ცახესისა და დიდი ამბიციების“, ეროვნული კონგრესი — გზა დამოუკიდებლობისაკენ“ და სხვათა, ან თუნდაც იმავე განცხადების ავტორებმა, რომ უქვირთ კიდევ? თუ მათ აქვთ უფლება, ყველაფერი იკადრონ, რატომ სწყინთ, „ცრურწოდულ პარტიებად და ორგანიზაციებად“ მოხსენიება? — თუ ასეთინ არ არიან, თვითონ ხომ იციან და საქმით დაამტკიცონ. ეს კი არა გვგონია, მშობელი ერის რანდგვა საერთაშორისო მასშტაბით, და სხვა. დიდად პარტიტული და ეროვნული რამ იყოს...

საპარტველო — ეს მე ვარ?!

ანუ ერთი საბჭოს მოკლე სოციალური ანალიზი

ა. წ. ნ. ივანის გაზეთ „კომუნისტ-ში“ გამოქვეყნდა ბატონ დ. ბიჭაძის სტატია სათაურით „მომხმეთავეს გულგულად ხიხინი“. სადაც, ჩემი აზრით, სხვადასხვა სახის რამდენიმე უნებლიე(?) შეცდომაა გაპარული. კერძოდ, სათაურში უსიამოვნოდ ეღერს სიტყვა „მომხმე“, ვინაიდან იგი ქართულ ლექსიკონში დამკვიდრებულია სხვა, მოკეთე ერის მნიშვნელობით (ასე მაგ. მოძმე სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვ.), რაც ჩვენი „კეთილმოსურნე“ ცენტრის დემოგრაფიკული შეცდომაა წინა-ქველზე ასხამს წყალს, რადგან ასეთი გამოთქმა საქართველოს მეგრულად, აჭარულად, სვანულად და ყოფილი ასოციაციებს იწვევს. აქვეა ციტატა: „მოვიდნენ სვანი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, შრომელთა დიდი ჯგუფები საქართველოს ყველა რეგიონიდან, სულ 600-ზე მეტი კაცი შეიკრიბა“. რას ნიშნავს „სვანი ინტელიგენცია“? — ვკითხვით სტატიის ავტორს, იქნებ საქართველოში მართლაც არის მეგრული, აჭარული, იმერული, სვანი ინტელიგენცია?! თუ ეს ასეა, მაშინ არსებობენ სვანები, მეგრელები, აჭარელები... და ა. შ. როგორც უნდა, რასაც ასე დაყენებით ამტკიცებენ ჩვენი არაკეთილმოსურნე მეცნიერები ცენტრიდან.

აღნიშნულ ციტატაში ყურადღებას იპყრობს აგრეთვე წარსულის ინერციით გამოწვეული ყალბი პათოსი: „საუკეთესო... შრომელთა ჯგუფები საქართველოს ყველა რეგიონიდან“. შემდეგ სტატიაში გრძელდება იგივე ხაზი: „სვანებმა გაჭირვების შემთხვევაში თანადგომა ვიცით, — თქვა... დირექტორმა ონიანმა, — ოდითგანვე სისხლს ვავილებდით ხოლმე და მომეთ მეგობრობას შევფიცავდით...“ „...მთელ საქართველოს გავეფიცებთ“... ჩემი აზრით, ამ სიტყვებში მეტად სახიფათო სეპარა-

ტისტული ტენდენციები ჩანს და მიმაჩნია, რომ ონიანისათვის მარგინალიზაცია... ისეთივე მძაბრა, როგორც ბიჭაძე, მოსიძე... ასევე საქართველო თითოეული მათგანისათვის ერთნაირად წმინდაა და უნდა იყოს, თითოეულის ვალია მისთვის ზრუნვა და სიტყვებით „გავეფიცებთ“... ამის აფიშირება არაა საჭირო.

სტატიის დასასრული, სადაც კონფერენციის დასკვნითი ნაწილის შესახებ არის ლაპარაკი, „გვირგვინდება“ შემდეგი სიტყვებით: „...ყველაფერი ვიღონოთ... რათა სვანები საქართველოში ლაღად გრძობდნენ თავს“. არა მგონია, კონფერენციაზე მხოლოდ სვანებზე, მის მოსახლეობის დაყოფით ცდილობდა (მით უმეტეს, თუ მას საუკეთესო ინტელიგენცია ესწრებოდა), ვინაიდან სვანების კუთხის აუვალება, „სვანი ხალხის“ (!) ლაღად ცხოვრება წარმოუდგენელია საქართველოს დამოუკიდებლობის გარეშე, რამეთუ ქართველის სილაღე, მით უმეტეს, მთის შვილებისა, თავისუფლების გარეშე წარმოუდგენელია. აქვე მახსენდება ერთი ფაქტი, როცა მესტის რაიონში დეპუტატობის ერთ-ერთი კანდიდატი „ქვემოთურბისა“ და „ზემოთურბის“ პრიციპით მოსახლეობის დაყოფით ცდილობდა საარჩევნო ხმების მოგროვებას, რამაც პირველ ხანებში დაპირისპირება-გათიშულობა გამოიწვია ხალხში, თუმცა რაიონის უხუცესების, ასევე ახალგაზრდობის ძალისხმევამ, საბედნიეროდ, ეს უარყოფითი პროცესი გაანეიტრალა. მსგავსი მაგალითების დაძვინა საკმაოდ მრავალად შეიძლება რესპუბლიკის სხვადასხვა რეგიონებში, როცა კორუპციული პირები, ე. წ. მაფია ცდილობს პირადი კეთილდღეობისათვის მოსახლეობის განთავსებას, დაპირისპირებას. ყოველივე ეს ჩვენი ეროვნული

მომართობისათვის ზურგში დანის ჩაცემის ტოლფასია.

მეტად დამაფიქრებელია ის ფაქტი, რომ სტატიაში (ომერტმა ქნას, რომ ეს მხოლოდ სტატიაში იყოს) როგორც ცნობიერ, ისე არაცნობიერ დონეზე მკაფიოდ ჩანს კუთხურობის ნიშნები, საშინელი „ჩვენობა-თქვენობა“, მთელისა და ნაწილის შორის ერთმანეთის გამანადგურებელი განხეთქილება, ათეული წლების მანძილზე ქართული სულის, ცნობიერების დეფორმაციის გამოვლინება, ამჟამად ჩვეს ეროვნულ თუ სხვა მომართობაში არსებული ამბიციურობა, გრ. რობაქიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ჩვენი უცნაური აპერცეფცია“ — „საქართველო ეს მე ვარ“. აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენს ეროვნულ-საზოგადოებრივ ძალებს ბევრი სამუშაო აქვთ, რათა ქართულ სულში ჩაისახოს სხვაგვარი შემეცნება: „ჩვენი საქართველო და მეგრე“ „სიტყვანიც, საქმეშიც ეროვნული პრობლემების გადაწყვეტის დროს, იყოს მხოლოდ „ჩვენი““, ეროვნული ერთიანობის გრძობა. ერთი ქართველი ერის არსებობის განცდა.

დასასრულ უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ ბატონ დავით ბიჭაძეს ქვემო ქართლისა და სხვა რეგიონებში არსებული მრავალი ეროვნული პრობლემა აქვს მალაქვალად აღიქვად, ეროვნული ტვივით გამოწვეული, თუმცა ათეული წლების მანძილზე ჩვენი ცნობიერების დეფორმაცია, „დანაგვიანება“ მასაც შეეხო და მისგან განთავისუფლება, განწყობენა არცთუ ისე ადვილია, ვინაიდან მას წლები, ასევე შესაბამისი გარემო — თავისუფალი საქართველო და გაზეთი სჭირდება.

გიორგია ახრასიძე,
ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი

გავუფრთხილდეთ ალმა-მატერს!

მოგწოდეთ!

დარწმუნებული ვართ, მკითხველთა უმეტესობა უარყოფით პასუხს გაგვცემს ამ კითხვაზე და მართალიც იქნება: არა გვგონია, მოსაწონი იყოს უნივერსიტეტის აკრედიტებული კედლები.

თუ აუცილებელია, მაინცდამაინც უნივერსიტეტის წინ გავაცნოთ ადამიანებს ქალაქის სიახლენი, დავდგათ სარეკლამო ფარები და ნუ გავაკრავთ აფიშებს იმ ტიპის კედლებს, რომელიც ყოველთვის იყო — და უნდა დარჩეს კიდევ ასეთად! — წმინდათაწმიდა არა მხოლოდ უნივერსიტეტებისათვის, არამედ ყველა ქართველისათვის.

არ ვაკადრებთ მკითხველებს, შევანხებთ, როგორ იქმნებოდა უნივერსიტეტი, ჩვენი ერის რა სასიკაძულყოფი შეიღები ედგენენ სათავეში მის დაარსებას, შემდეგ კი მოღვაწეობდნენ იქ, რამდენი ქართული საქმე წამოწყებულა უნივერსიტეტში და ა. შ., მაგრამ ერთს კი ვთხოვთ

სალმე ზვინაძე, ლია ინჟინია, მანანა ჯარბია,
ირაკლი მუხლიშვილის ფოტოები



თბაკო, „ღივი საპარტველო სპარა პატრიოტი“.

გაზეთ „სარანგის“ რედაქციას

გაზეთი „ქართული ფილმი“ უკვე კარგა ხანია ვერ ასრულებს მის უპირველეს მოვალეობას — პროფესიულ დონეზე გააშუქოს ქართული კინოს უმეტესწილად პრობლემები. იგი გადაიქცა საქართველოს ეროვნული მომართობის ერთ-ერთ გამთავისებელ ორგანოდ, რაც გამოიხატება პარტიების შორის შუღლის გაღვივებაში და კონფლიქტების გამწვავებაში.

ჩვენი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის რიგებში ერთიანობის აღდგენისათვის ამ ბოლო დროს არა ერთმა მოქალაქემ უკიდურეს აქციებამდე მიმართა. სწორედ ამ დროს კინოსტუდიის გაზეთი, ყველა გზით, კვლავ აგრძელებს გამთავისებელი პუბლიკაციების ბეჭდვას, რაც გვაფიქრებინებს, რომ მისი „ძალისხმევა“ ყველა პარტიისანი ქართველის სახუცავარი მიზნის წინააღმდეგ არის მიმართული.

გაზეთი „ქართული ფილმი“ ასეთ პოზიციაში უპირველესი ბრალი მიუძღვის მის რედაქტორს, რომელიც, როგორც ჩანს, არის არა თავისი პროფესიული მოვალეობის კეთილსინდისიერი და პრინციპული შემსრულებელი, არამედ კინოსტუდიის დირექციის პოლიტიკის უსიტყვო გამტარებელი.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ თანამშრომელთა ჯგუფი უნდობლობას ვუცხადებთ ასეთ რედაქტორს და მოვითხოვთ რედაქტორი არჩეულ იქნას კინოსტუდიის კოლექტივის მიერ.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დამკვიდრებული ერთი აზრის დიქტატი საშუალებას არ გვაძლევს კრებაზე ან თვით გაზეთი „ქართული ფილმი“ ფურცლებზე ვიმსჯელოთ ამ საკითხის შესახებ, ამიტომაც ვთხოვთ თქვენს გაზეთში ჩვენი წერილის გამოქვეყნებას.

პინოსტუდია „ქართული ფილმი“
ღივი თანამშრომელთა,
სულ 115 ხელმოწერა.
რედაქციისთვის: გაზეთ „ქართული ფილმი“ ამის წინათ კოლექტიურ წერილებთან დაკავშირებით ლაპარაკი იყო პასუხისმგებლობის საკითხზეც. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილ წერილს ჰყავს „პატრიონი“, გვარგებს კი არ ვსახელებთ ვასაუბრი მიზეზების გამო.

რედაქციის პოლიტიკის უსიტყვო გამტარებელი.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ თანამშრომელთა ჯგუფი უნდობლობას ვუცხადებთ ასეთ რედაქტორს და მოვითხოვთ რედაქტორი არჩეულ იქნას კინოსტუდიის კოლექტივის მიერ.

კინოსტუდია „ქართული ფილმი“ დამკვიდრებული ერთი აზრის დიქტატი საშუალებას არ გვაძლევს კრებაზე ან თვით გაზეთი „ქართული ფილმი“ ფურცლებზე ვიმსჯელოთ ამ საკითხის შესახებ, ამიტომაც ვთხოვთ თქვენს გაზეთში ჩვენი წერილის გამოქვეყნებას.

პინოსტუდია „ქართული ფილმი“
ღივი თანამშრომელთა,
სულ 115 ხელმოწერა.
რედაქციისთვის: გაზეთ „ქართული ფილმი“ ამის წინათ კოლექტიურ წერილებთან დაკავშირებით ლაპარაკი იყო პასუხისმგებლობის საკითხზეც. ამასთან დაკავშირებით აღვნიშნავთ, რომ ზემოთ მოყვანილ წერილს ჰყავს „პატრიონი“, გვარგებს კი არ ვსახელებთ ვასაუბრი მიზეზების გამო.

თავისუფლებს მოედანი

მოედანმა ამოიხუნტა. მალე აქ უკავილნარიც გაუნდება.

გამოვიდა არჩილ ჯორჯაძის საზოგადოების ლიტერატურულ-ისტორიული ეურნალის „ერთობის“ IV ნომერი, რომელიც თემატურად მეტად მრავალფეროვანი და საინტერესოა.

ეურნალი იხსნება ცნობილი ქართველი ესეისტის გერონტი ქიქოძის წერილით „მელანქოლიური მენიშენები“, რაც ქართული ხასიათის კვლევის და ისტორიის მიმოხილვის ცდაა; აქვე რუბრიკით „საქართველო და მეფის რუსეთი, ქართველი პოეტი და ორთავიანი არწივი“ დაბეჭდილია ვანტანჯ ორბელიანის ლექსი „გამოსალმება“ და ნაწყვეტი გენერალ პეტრე კრასნოვის რომანიდან „ორთავიანი არწივიდან ვიდრე წითელ დროშამდე“.

შერნალი „ერთობა“

ხალხური სამოქალაქო პოეზიის ნიმუშები; ფრაგმენტები პოლიტიკტიმის, ისტორიკოს ვლადიმერ ანთელავას დღიურიდან; 1924 წლის აჩანაყების მომსწრე ელიზბარ მაყაშვილის მოგონებები სათაურით „სისხლიანი ფურცლები“ (ჩემი რეგულიდან); „მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილი მასალები — „მერაბის განხილვა“ (ავტორი ვიტალი დარსანია); „ეოკალური ბაღადაეფები და მოყმე“ (ილია ჯანდიერი); „მერაბ კოსტავა გადასახლებაში“ (გიზო კორძაძე); საერთაშორისო მიმოხილვა, სატარა და იუმორი, ინფორმაცია და სხვ.

ეურნალი 2 მანეთი ღირს. შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც თბილისის ქუჩებში, ასევე „სოიუზბეჩის“ ჯიხურებში.

ია ჯუღალი

სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება ღრმად თანაუგრძობს საზოგადოების წევრს არჩილ მაკავარიანს და მის ოჯახს მეუღლის,

ლია გიორგის ასული მაისურაძე-მაჭავარიანი

გარდაცვალების გამო.